პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
23 ივნისი
№ 145 (18087)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესასრულებლად საქართველოს სსრ საახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ

სკკპ XXVI ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა საბჭოეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვრცელი პროგრამა მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გზაზე ახალ ისტორიულ ნიშანსვეტად იქცა. ყრილობამ დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა ადამიანები მიჰყვებიან თავიანთ ნაცად პოლიტიკურ ბელადს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც ყრილობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საბჭოთა სახოგადოების პოლიტიკური სისტემის შემდგომი განვითარების საკითხებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. გ. ბალავაძის მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე გამოსვლებში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულ მითითებებსა და დებულებებს. რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ერთსულოვნად უჭერენ მხარს სკკპ სანინაო და საგარო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალურ კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ნაყოფიერ საქმიანობას გამოჩენილი ლენინელის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

უდიდესი მადლიერების გრძნობით, კომუნისტური მშენებლობის განსახორციელებლად მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო სხდომაზე, აგრეთვე რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რჩევა-დარიგებანი, რეკომენდაციები და კრიტიკული შენიშვნები.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებმა, განიხილეს რა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საბჭოების ამოცანები, შეიმუშავეს ქვეყნისა და რესპუბლიკის პარტიული ფორუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ შესაბამისად დასახულია ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების ახალი ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, მათი საკოორდინაციო და საკონტროლო საქმიანობის სრულყოფისათვის, რომელიც გამიზნულია შესაბამის ტერიტორიაზი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფად, პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის.

მთელ მუშაობას სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის გასაქტიურებლად საფუძვლად უდევს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნები საბჭოთა ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, მათი ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, გამოიყენეს რა სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოების შესახებ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მშრომელთა მობილიზაციისათვის ეკონომიკის განვითარების, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების ეფექტიანად გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების, სავაჭრო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო საწარმოების, სახალხო განათლების, კულტურის, სპეციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანათა გადასაწყვეტად.

საბჭოები წარმატებით იყენებენ თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა წინანდლის სასოფლო საბჭოს გამოცდილებას შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, გავაზის (ყვარლის რაიონი), ინაგის (სიღნაღის რაიონი), პატარძეულის (საგარეჯოს რაიონი), ახალსოფლის (ცხაკაიას რაიონი), სუჯუნის (აბაშის რაიონი) და სხვა სასოფლო საბჭოების გამოცდილებას თავიანთი რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის და ადგილობრივი ნედლეულისა და მასალებისაგან ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების რეზერვების გამოსავლენად და გამოსაყენებლად.

გააქტიურდა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების საქმიანობა გაუმჯობესდა კონტროლი საეგმო დავალებათა შესრულებისადმი. კანონების დაცვისადმი, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციისადმი, მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისადმი.

სრულყოფილი ხდება ორგანიზატორული მუშაობის ფორმები და მეთოდები სახალხო დეპუტატთა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის საქალაქო, ქ. თბილისის ოქტომბრისა და ორჯონიკიძის, ცხაკაიის, ზუგდიდის, წითელწყაროს, ახმეტის, მახარაძის რაიონულ საბჭოებში. მთელი რიგი სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობაში შემდგომი განვითარება ეოება დემოკრატიზმის პრინციპებმა და საჯაროობამ. დაგროვილია გარკვეული დადებითი გამოცდილება საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების საქმეში; განმტკიცდა საბჭოების კავშირი მასებთან. მნიშვნელოვნად ამაღლდა დეპუტატთა აქტიურობა სესიებზე, საარჩევნო ოლქებსა და შრომით კოლექტივებში, უკეთ სრულდება ამომრჩეველთა განწყესები, დეპუტატები საარჩევნო ოლქებში უფრო რეგულარულად ანგარიშებენ ანგარიშს.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, იყენებენ საცხოვრებელ ადგილს მოსახლეობასთან მუშაობის ყველა ფორმას, თავიანთი საქმიანობით სულ უფრო აქტიურად უწყობენ ხელს სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებას, მათ მობილიზაციას საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. ახალი შინაარსით გამდიდრდა ქ. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და გორის მიკრორაიონთა საბჭოების მუშაობა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში განსაკუთრებით ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ბევრი საბჭოს მუშაობის დონე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს, ისინი სუსტად ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და საკონტროლო ფუნქციებს, მთლიანად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ჯერ კიდევ არასაკმარისია საბჭოების როლი კომპლექსური ტერიტორიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, გამოუყენებელი რეზერვების ძიებაში, მათს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში.

საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში კვლავ მრავლდაა ადამიანთა საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულების, საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ფაქტები. საკმაოდ ზუსტად არ არის აწყობილი მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ადგილობრივი რესურსების გამოსაყენებლად, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების მთელი სფეროს განსავითარებლად. შეინიშნება სპბინაო კანონმდებლობის დარღვევები; სათანადო კონტროლი არ არის რესპუბლიკის მიწის კოდექსის, ატმოსფეროული ჰაერის, წყლისა და ტყის რესურსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი. არადამაკმაყოფილებელია ბევრი საბჭოს მუშაობა სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის განსამტკიცებლად. ზოგიერთი საბჭო ჯერ კიდევ სუსტად ებრძვის უყაირათობას, სოციალისტური საკუთრების დატაცებას, ლოთობას, მუქთახორობას, მექრთამეობას, სხვა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებას. დეპუტატებთან და მოსახლეობას შორის მუშაობაში შეინიშნება ფორმალიზმი და საქმის გაუბრალოება, ხოლო ზოგჯერ — დემოკრატიზმის პრინციპებისა და საჯაროობის უგულებელყოფა. ნაკლოვანებებია მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და ზეპირ მიმართვებზე მუშაობაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყველა რგოლის საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— მიიჩნიონ უმთავრეს ამოცანად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებათა და მითითებათა, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო ზეიმზე, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბარში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული მითითებების, კრიტიკული შენიშვნებისა და რჩევა-დარიგებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების განუხრელად შესრულება;

— დაუქვემდებარონ მთელი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის მიერ განსაზღვრული მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, სახალხო მეურნეობის მტკიცე, წინსვლითი განვითარების საფუძველზე საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და განვითარების ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანის, რესპუბლიკის საწარმოო პოტენციალის უფრო რაციონალურად გამოყენების, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყოველმხრივი მომჭირნეობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფას;

— უფრო სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, საბჭოების შესახებ კანონმდებლობით, „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილება შესაბამის ტერიტორიებზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ზრდის, საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების ყველა მხარის გაუმჯობესების, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად;

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე 1981 წლის 18 ივნისს

ამხანაგებო!

ჩვენს პლენუმს, ისევე როგორც ყველაფერს ჩვენს ცხოვრებაში, თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის დაწყებისათვის ჩვენ გულდასმით ვემზადებოდით. მისი მზადება დავიწყეთ მაშინვე, როგორც კი დამთავრდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი; მაშინვე, როგორც კი გაემგზავრა უკანასკნელი დელეგაცია და ჩვენ თბილად, განშორების გამო სევდანარევი გულითადობით გამოვემშვიდობეთ ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს.

ამ პლენუმისათვის მზადება ჩვენ დავიწყეთ დღეგასწაულის დამთავრებისთანავე არა მარტო იმიტომ, რომ დღესასწაულს, როგორც წესი, სადაგი დღეები მოსდევს ხოლმე: თვით ჩვენი დღესასწაული შეიცავდა სამუშაო, საქმიან საწყისს. ესეც თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ეს საქმიანი, სამუშაო სულისკვეთება შთაბერა რესპუბლიკის მთელ პარტორგანიზაციას, საქართველოს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს თვით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებმა თბილისში, ამოცანებმა, რომლებიც მან დაგვისახა, მისმა რჩევა-დარიგებამ და მითითებებმა.

მას შემდეგ, რაც მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის გრანდიოზული პროგრამა გამოიკვეთა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში საზეიმო სხდომაზე, მის გულთბილ, წრფელ სადღეგრძელოში სადღესასწაულო დარბაზობის დროს, მის ღრმაგაზრავან, ბრძნულ საუბარში რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან — ყველა იმ ამოცანის შემდეგ, რომელთა გადაწყვეტა ყველაზე აუცილებელი, ყველაზე გადაუდებელი გახდა, თითოეულმა ჩვენგანმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად გამოვიტანეთ ერთსულოვანი და სავსებით გარკვეული გადაწყვეტილება: **საჭიროა პლენუმი!**

აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანებს თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად. საჭიროა პლენუმი, რომელიც შეიმუშავებს იმ რეკომენდაციათა, მითითებათა და რჩევა-დარიგებათა რეალიზაციის ღონისძიებებს, რომლებსაც შეიცავდა გამოსვლები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

ასეთი პლენუმი დღეს ჩვენ გავმართეთ კიდეც.

ასე ვემზადებოდით მისი დაწყებისათვის.

ახლა კი, როცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამთავრებს თავის მუშაობას, გულახდილად გეტყვით, — და, ვგონებ, ეს ჩვენი საერთო აზრია, — რაღაც მენანება ჩვენი დღეგანდელი ფრიად საქმიანი, ფრიად საგნობრივი, ფრიად კონკრეტული და საინტერესო სჯა-ბაასის დამთავრება. მენანება, რომ უნდა დავიშალოთ. ჩვეულებრივ ასეა ხოლმე, როცა ერთად იყრიან თავს თანამოაზრე-თანამებრძოლები, რომლებსაც ბევრი რამ აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი, გასაზიარებელი, ერთად განსასჯელი, რათა კვლავაც ერთად, ხელიხელ-ჩაკიდებულებმა, მხარდამხარ იცხოვრონ, იშრომონ და იბრძოლონ!

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს დღეები მოსკოვში

გამარჯობა, დედაქალაქო!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმის ესტაფეტა მიიღო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა — გმირმა ქალაქმა მოსკოვმა 21 ივნისს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს გულითადად მიესალმნენ მოსკოველები. ზაფხულის მზიანი დღე კიდევ უფრო გაანათლა ყვავილებმა, ალისფერმა ტრანსპარანტებმა, ღიმილმა. ასე მასპინძლობენ მხოლოდ ნამდვილ მეგობრებს, ნაცად ამხანაგებს.

მზიური საქართველოს წარმომადგენლებთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ნ. ენუქიძის მეთაურობით ჩამოსულ დელეგაციასთან დასახვედრად მოვიდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. მ. როგანოვი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ტ. პ. აარხიპოვი, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. ა. გლინსკი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. კოსტენკო, პარტიის ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიკომების პირველი მდივნები ნ. გ. კომაროვი და ბ. კ. კუზნეცოვი, ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ი. ს. ჩემიაკინი და ვ. ვ. სუვოროვი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები კ. მ. ჩერნოვი და ი. კ. ფიშ
ესკი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საქართველოს დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში თ. შ. ხაჩიძე, მუდმივი წარმომადგენლობის მუშაკები.

წინ არის საინტერესო შეხვედრების კვირა, ახალი აღმოჩენების სიხარული, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გაცნობის, მის სახელოვან, წარჩინებულ მშრომელ ადამიანებთან შეხვედრის კვირა. (საქინფორმი).

□ □

სურათებზე: აეროდრომზე დახვედრის დროს; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომანტი, პაიონერთა და მოსწავლეთა ხაკავშირო ფესტივალის ლაურეატი ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია „ივერია“ ქართულ ცეკვას ასრულებს.

ა. რუხაძისა, ო. თურქიასა და ს. ედიშერაშვილის ფოტო. (ხაკდან-საქინფორმის ტელეფოტო).

ძმაო ძმითა ხარ ძლიერი!

ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ ფურცლებზე დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ენუქიძის წერილი „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. წერილი მიეძღვნა საქართველოს დღეების დაწყებას ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

გუშინ კი, 22 ივნისს, დაიწყო ეს შესანიშნავი დღეები და ქალაქ მოსკოვის პარტიის ბაბუშკინოს რაიონულ კომიტეტში მეგობრული შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს წარგზავნილებს. სტუმრებს მიესალმა ბაბუშკინოს რაიკომის პირველი მდივანი ბ. კუზნეცოვი. „ჩვენი მეგობრობა, — თქვა მან, — 1957 წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გავიგეთ ერთმანეთის შესახებ, დავმეგობრდით, დავუახლოვდით ერთმანეთს, გვქონდა საქმიანი კონტაქტები. ბულით მოგესალმებით მოსკოვის მიწა-წყალზე, ძვირფასო ქართველო ძმებო და მეგობრებო. გვიხარია, რომ თქვენ დიდებული ზეიმი, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა ადევნებდა თვალს და რომელიც კიდევ ერთი დადასტურება იყო რუსი, ქართველი და ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობისა, დღეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გრძელდება“. მან ვრცლად მოუთხრო საქართველოს დელეგაციის წევრებს ბაბუშკინოს რაიონის საწარმოების, ფაბრიკებისა და ქარხნების ახალახალ წარმატებებსა და გამარჯვებებზე, აღნიშნა ის დიდი აღმფრენა და დარაზმულობა, რომელსაც რაიონის მშრომელები იჩენენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

ჩვენი დელეგაციის წევრები ეწვივნენ მოსკოვის ბაბუშკინოს რაიონის ავეჯისა და მუსიკალური საკრავების კომბინატს. ამ კომბინატს დიდი ტრადიციები აქვს და ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა მოსკოვში, ქართველმა სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს სხვადასხვა საამქრო, გაეცნენ საწარმოს მრავალთანაარსი კოლექტივის შრომითს მაჩვენებლებს და მიღწევებს, ესაუბრნენ კომბინატის მოწინავე მუშებსა და ხელმძღვანელებს. წარუძღოლელი შთაბეჭდილება დატოვა მათზე საკრავების დამზადების მეტად რთულმა პროცესმა და სპეციფიკამ. საწარმოს კოლექტივი ამაყობს თავისი კომბინატის პროდუქციით, რომლის ხარისხი მხოლოდ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. მეგობრული საუბრისა და გულთბილი შეხვედრების შემდეგ სცენაზე ავიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკები, დარბაზში გაისმა ქართული და რუსული სიმღერები, ცეკლოვანმა ქართულმა ცეკვებმა მოხიბლა მასპინძლები.

ამავე დროს საწარმოო-სამკერვალო გაერთიანება „სმენას“ ეწვია ქართველ სტუმართა მეორე ჯგუფი. ეს გაერთიანება ერთ-ერთი მოწინავედ ითვლება ჩვენს ქვეყანაში. სტუმრებს მიესალმა გაერთიანების გენერალური დირექტორი მ. ვიდგამი. „დღეს ჩვენ საამქროებში სიხარული და ზეიმია. ჩვენ ქართველ მეგობრებთან ერთად ვზეიმობთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის დაარსების სახელოვან იუბილეს. მინდა სიამაყით გითხრათ, რომ დღევანდელ მეგობრულ შეხვედრას ჩვენი კოლექტივი ახალი შრომითი გამარჯვებებით ხვდება. სასიხარულოა, რომ ჩვენ გაერთიანებას და თბილისისა ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკას წლების განმავლობაში აკავშირებს სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებები. ჩვენი ერთობლივი შრომით, ჩვენი ერთობლივი მიღწევებით და წარმატებებით გაიხარეს მთელი საბჭოეთი. კეთილი იყოს საბჭოთა საქართველოს დღეების დაწყება მოსკოვის მიწა-წყალზე“.

გაერთიანების დიდებულ სააქტო დარბაზში სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ვოკალური ანსამბლი „ცისფერი ტრონი“, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ც. ტატიშვილი, ქართული ცეკვის სახელგანთქმული ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით და მოსკოვის ბაბუშკინოს რაიონის პიონერთა სასახლესთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ივერიონი“ და „ივერიის“ მსახიობები.

სწორედ ამ ანსამბლებს ეწვიკნენ სტუმრად საქართველოს დელეგაციის წევრები. ეს იყო ამაღლებული და დაუვიწყარი შეხვედრა, შემდეგ დაიწყო სტუდიის აღსაზრდელთა კონცერტი, რომელიც მარილაც ქართული ცეკვის ზეიმი იყო. დიახ, ეს ბავშვები ქართული ცეკვის სიყვარულმა მოიყვანა აქ. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ხუთასამდე მოცეკვავეა გაერთიანებული.

შეხვედრაზე დამსწრენი ტაშით შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ქორეოგრაფიული ანსამბლების „ივერიისა“ და „კოლხეთის“ მხატვრული ხელმძღვანელის რ. ჯანიაშვილისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ გ. ციმაკურიძე და ნ. კაშინოვი. რ. სტურუამ ანსამბლის წევრები მიიწვია რუსთაველის თეატრის იუბილეზე, ამავე ადგილას, ოპერა, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. ა. გლინსკი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. კოსტენკო, პარტიის ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკისა და ბაბუშკინოს რაიკომების პირველი მდივნები ნ. გ. კომაროვი და ბ. კ. კუზნეცოვი, ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ი. ს. ჩემიაკინი და ვ. ვ. სუვოროვი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები კ. მ. ჩერნოვი და ი. კ. ფიშელესკი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საქართველოს დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში თ. შ. ხაჩიძე, მუდმივი წარმომადგენლობის მუშაკები.

წინ არის საინტერესო შეხვედრების კვირა, ახალი აღმოჩენების სიხარული, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გაცნობის, მის სახელოვან, წარჩინებულ მშრომელ ადამიანებთან შეხვედრის კვირა. (საქინფორმი).

□ □

სურათებზე: აეროდრომზე დახვედრის დროს; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომანტი, პაიონერთა და მოსწავლეთა ხაკავშირო ფესტივალის ლაურეატი ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდია „ივერია“ ქართულ ცეკვას ასრულებს.

ა. რუხაძისა, ო. თურქიასა და ს. ედიშერაშვილის ფოტო. (ხაკდან-საქინფორმის ტელეფოტო).

ასახავს რესპუბლიკის წარმატებებს

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ მოსკოვში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით გამოუშვა საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი.

ნომერი იწყება მოწინავე სტატიით „საქართველოში საქმე კარგად მიდის“. ჩვენი რესპუბლიკის მიმართ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები, რომლებიც სტატიის სათაოდ არის გამოყენებული, შესანიშნავად გამოხატავს იმ წარმატებებისა და მიღწევების არსს, რომლებსაც უკანასკნელ ათწლეულში მიაღწიეს საქართველოს სს რესპუბლიკამ და მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

„წითელდროშოვანი წლები“ — ასე ეწოდება ნომრის ერთ-ერთ თემატურ ფურცელს, რომელიც ეძღვნება საქართველოსათვის ღირსშესანიშნავ პერიოდს, როცა ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ რვაჯერ დაჯილდოდა გარდამავალი წითელი დროშით.

რესპუბლიკის მიღწევები ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სპორტში, არქიტექტურაში, ცხოვრების ბევრ სხვა დარგში აგრეთვე ღირსეულად არის ასახული გაზეთის ამ ნომრის ფურცლებზე. ნომერ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე 1981 წლის 18 ივნისს

(დასასრული)

მოხსენებაში ჩვენ ვთქვით, ახლანდელი პლენუმი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი, ჭეშმარიტად საეტაპოო. პლენუმის მთელმა მუშაობამ ცხადყო, რომ იგი მართლაც საეტაპო ყოფილა.

მაშ, როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი პლენუმი, თუ მას წინ უძღვოდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისეთი ისტორიულად მნიშვნელოვანი დადგენილება, როგორიც დღეს განვიხილეთ? მაშ როგორი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, თუ იგი სახავს ამ დადგენილების შესრულების ღონისძიებებს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის პირად მითითებათა შესაბამისად? მაშ როგორი უნდა ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, თუ თვით ეს გადაწყვეტილება „საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა თბილისში თქვა, რომ **გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს** უნდა ვფიქრობდეთო, ამასთან ხაზი გაუსვა: **საჭიროა კვლავაც ვადევნოთ თვალი იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს რესპუბლიკაშიც და ცენტრშიც.**

და აი, **ცენტრში** იღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ დადგენილების უცილობელ შესრულებას, დღემდე რომ მიუღიათ საქართველოს შესახებ.

ჩვენ, ამხანაგებო, კვლავ და კვლავ სამადლობელი სიტყვებით მივმართავთ ყველას, ვინც ამ დადგენილებაზე მუშაობდა, ვინც შეიარაღა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მისი შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის ბრძოლის ამ ახალი პროგრამით.

მაგრამ, როგორც ითქვა, თვალი უნდა ვადევნოთ იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი ჯეროვნად სრულდებოდეს **რესპუბლიკაშიც.** ჩვენმა დღეანდელმა პლენუმმა დამაჯერებლად ცხადყო: საქართველოს პარტორგანიზაცია მზად არის წარმატებით შეასრულოს პარტიის ყველა წინასწარდასახულობა, ახლად მიღებული დადგენილების, ისევე როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ პარტიისა და მთავრობის ყველა წინანდელი გადაწყვეტილების თითოეული პუნქტი, ყოველი პარაგრაფი, თითოეული სტრიქონი.

ეს გახლავთ ჩვენი პლენუმის პირველი თავისებურება.

პლენუმის მეორე თავისებურება ის არის, რომ მან კვლავ ცხადყო საქართველოს კომუნისტთა მონოლითური შეკავშირება და ერთიანობა, მათი პოლიტიკური სიმწიფე, ცხადყო, რომ უნარი შესწევთ ღრმად ჩასწვდნენ განსახილველ საკითხებს, კომპეტენტურად, საქმეში ჩახედულად ერკვეოდნენ დასახულ პრობლემაში, შემოჰქონდეთ საქმიანი, კონკრეტული წინადადებები, კვალავდნენ დასახული მიზნის მიღწევის ნათელ და ყველაზე მოკლე გზებს.

ჩვენი პლენუმი დიდი აქტიურობითა და უაღრესად საქმიანი ხასიათით გამოირჩევა. კამათში, როგორც აქ ითქვა, მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. ძალიან კარგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, წევრობის კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს, კომუნისტებს ასე მხურვალედ სწადიათ ერთად განიხილონ ჩვენი მუშაობის, ჩვენი საერთო საქმის ყველაზე აქტუალური პრობლემები, პარტორგანიზაციის ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხები. ეს მოწმობს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა უაღრესად დიდად არის დაინტერესებული უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური საკითხების **კოლექტიური განხილვითა** და **კოლექტიური გადაწყვეტილების შემუშავებით.**

ჩვენ დიდი ინტერესით მოვუსმინეთ ორატორებს — უკლებლივ ყველას. ყოველ გამოსვლაში ვპოვეთ რაციონალური მარცვალი, საინტერესო, ახალი აზრი, დავინახეთ, რომ კარგად ესმით პარტიის მიერ დასახული ამოცანები. ყველა გამოსვლა ერთად, ისევე როგორც მთელი ჩვენი პლენუმის მუშაობა, იმ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის მკაფიო დემონსტრაცია იყო, რომელმაც ახლა მთელი ჩვენი რესპუბლიკა მოიცვა.

მინდა სულით და გულით მოვახსენო მადლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილეს პატივცემულ ვალენტინ მიხეილის ძე ნიკიფოროვს, რომელიც დღეს გამოვიდა ჩვენს პლენუმზე და ესოდენ კარგი, ესოდენ მაღალი შეფასება მისცა მთელ გაწეულ მუშაობას, ესოდენ თბილი, გულთბადი სიტყვით რომ მოიხსენია რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი.

ჩვენი პლენუმის მესამე თავისებურება ის გახლავთ, რომ პლენუმმა კიდევ ერთი დიდნშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ მასებთან ურთიერთობის გასაფართოებლად ჩვენი პარტიული ორგანიზაციის იმ პრაქტიკის განვითარების გზით, რომელსაც გაზეთმა „პრავდამ“ თავის მოწინავე სტატიაში საგულისხმო პრაქტიკა უწოდა.

ეს კავშირი კი, ამხანაგებო, მართლაც ჩვენში, სულ უფრო მჭიდრო ხდება. ნამდვილად კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა, აპარატის მუშაკთა რეგულარული შეხვედრები და საუბრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. კვლავაც უნდა გამოვიტანოთ ხოლმე ღია პარტიული კრებების განსახილველად შრომითი კოლექტივების, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველაზე საჭირბოროტო საკითხები.

დამკვიდრებული წესისამებრ, ჩვენ, როგორც უკვე ითქვა, ამჯერადაც წინასწარ ვიუწყეთ რესპუბლიკის მოსახლეობას ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის მოწვევის ამბავი და პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, თითოეულ კომუნისტს, ყველა მშრომელს ვთხოვეთ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი იმ ამოცანების ეფექტიანი და სწრაფი რეალიზაციის გზების შესახებ, რომლებიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებშია დასახული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვას მოჰყვა უამრავი გამოხმაურება, რომლებიც — და არ შემიძლია ეს კვლავ არ აღვნიშნო, — ერთ ნაკადად შეერწყა წერილს, ყველა კუთხიდან რომ მოგვდის საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის დღესასწაულის, ზეიმში ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მონაწილეობისა და თბილისში მისი შესანიშნავი გამოსვლების გამო.

ჩვენი პლენუმის მონაწილეებს ხელთ აქვთ პატარა თეთრი წიგნაკი, რომელშიც შესულია მიღებული წერილების, სხვადასხვა პრობლემაზე გამოთქმული წინადადებების, ფიქრების, რეკომენდაციების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. სულ კი თვეზე ნაკლები ხნის მანძილზე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 5000-ზე მეტი ინდივიდუალური და კოლექტიური წერილი. საგულისხმოა, რომ მათი უმრავლესობა, ფრიად სერიოზულ, კონკრეტულ, საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს შეიცავს. დაახლოებით მესამედი მუშათა და კოლმეურნეთა დაწერილია. ორი ათასზე მეტი გამოხმაურების ავტორები პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. მრავალი წერილი გამოგვიგზავნეს კომკავშრომელებმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ.

წერილები მოდიოდა რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, თითოეული ქალაქიდან და რაიონიდან, განსაკუთრებით ბევრი დიდმნიშვნელოვანი, საინტერესო წერილი გამოგვიგზავნეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ტყიბულის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, საჩხერის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქარელის, მცხეთის, ლენტეხის, მარნეულის, თელავის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებიდან.

უკლებლივ ყველა წერილი შეიცავს მხურვალე მადლობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი დაუცხრომელი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის, რესპუბლიკის გარჯის მაღალი შეფასებისათვის. მშრომელები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო უკეთ და ნაყოფიერად გაისარჯონ მეთერთმეტე ხუთწლედში.

თავიანთ წერილებში მშრომელები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მუშაობის შემდგომი სრულყოფის საქმიან წინადადებებს გვთავაზობენ. ათას ხუთასზე მეტი წერილი მიეძღვნა მრეწველობის შემდგომი განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების რეზერვების გამოყენების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების დაზოგვის საკითხებს.

ცენტრალური კომიტეტის ბევრმა წევრმა დიდი ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენების პრობლემას.

1700-ზე მეტი წერილი ეძღვნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მეცხოველეობის, მეჩაიეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების აღმავლობის ამოცანებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. დაახლოებით 800 გამოხმაურება ეხება ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემას.

შემოსულია ბევრი წერილი, რომლებიც ეძღვნება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვას, მეცნიერული ნამუშევრების ორგანიზაციის სრულყოფას.

ცენტრალურ კომიტეტში შემოსული კომუნისტთა, მშრომელთა წერილები, ყველა წინადადება და სურვილი უაღრესად გულდასმით შევისწავლეთ, გავაანალიზეთ და განვაზოგადეთ. როგორც უკვე ითქვა მოხსენებაში, ისინი ფართოდ გამოვიყენეთ ჩვენი პლენუმის მასალების მომზადებისას.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია მუშაობისა. ახლა ამოცანა ის არის, რომ არც ერთი წერილი, არც ერთი რეკომენდაცია, არც ერთი წინადადება არ დაგვრჩეს ჯეროვანი პასუხის გაუცემლად. ყოველივე იმან, რაც ყურადსაღებია, ყოველივე ძვირფასმა და სასარგებლომ პრაქტიკულად უნდა შეისხას ხორცი. ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი პლენუმის გადაწყვეტილების ავტორიტეტიც.

მინდა, ახლანდელი პლენუმის კიდევ ერთ თავისებურებაზე მოგახსენოთ. თავისებურება ის გახლავთ, რომ **ჩვენი პლენუმების ფუნქციები სულ უფრო მეტად ფართოვდება.**

ასეთ მიდგომას ეთანხმება და იწონებს ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა. ამას ადასტურებს დღევანდელი მაგალითიც, როცა მარტოდენ პლენარული სხდომის დღის წესრიგში შეტანილ ძირითად საკითხზე კი არ ვმსჯელობთ, არამედ მასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც განვიხილავთ.

მაგალითად, დღეს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მოახსენა საკითხზე: „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობა და ამოცანები მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის შესახებ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესასრულებლად“. **ეს მთლიანად გამომდინარეობს პარტიის იმ გეზიდან, რომლის მიზანია მასებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება, მასების ინიციატივისა და შემოქმედების ყოველმხრივი განვითარება, მშრომელთა აქტიური ჩაბმა საზოგადოების საქმეთა მართვაში.**

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო მიმართვა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის სპეციალისტების, საქართველოს ყველა მშრომელისადმი, რომლებსაც მოუწოდებს აღკვეთონ საკვების დამზადების ტემპის ჩამორჩენა, უზრუნველყონ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრება, გამოიყენონ ყოველი საათი საკვებ მინდორში ეფექტიანი შრომისათვის. **ეს უშუალო პასუხია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახულ ამოცანაზე, — მივაღწიოთ, რომ ახლანდელი ხუთწლედი მნიშვნელოვანწილად გახდეს საკვების ხუთწლედი, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, განვახორციელოთ ენერგიული ღონისძიებანი მეცხოველეობის აღმავლობისათვის.**

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი, მშრომელებისადმი, რომელშიც გაანალიზებულია იმ წერილებთან და წინადადებებთან დაკავშირებით გაწეული მუშაობა, მშრომელებმა რომ გამოგვიგზავნეს ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის სამზადისის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიმართვის პასუხად. წერილი აგრეთვე შეიცავს მოწოდებას **კვლავაც განვამტკიცოთ, გავაფართოოთ და გავაღრმაოთ მასებთან პარტიის ცოცხალი, ურთიერთგამამდიდრებელი კავშირი.**

დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, რომელშიც გამოთქმულია რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის ყველაზე ნათელი, სასიხარულო გრძნობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის დღესასწაულზე ლეონიდ ილიას ძის ჩამოსვლის გამო. საბჭოთა საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა აღუთქვეს ლეონიდ ილიას ძეს, რომ **მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარენ პარტიის საქმეს, ხალხის საქმეს, მოიპოვებენ ახალ შესანიშნავ წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.**

ამხანაგებო!

მოხსენებაში ჩვენ მოვიყვანეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები, რომ **თბილისში გამართული საუბილეო ზეიმი გამსჭვალული იყო ხალხთა მეგობრობის, კარგი შრომითი აღმავლობის სულისკვეთებით, ნდვაწისათვის სიამაყით და დიდი სამერმისო გეგმებით.** და ამასთან შევეცადეთ გამოგვეკვლინა, თუ რას შეიცავს ამ ფორმულის თითოეული კომპონენტი.

ჩვენ ვთქვით:

— **მეგობრობის სულისკვეთება!**

ჩვენვე ვთქვით:

— **კარგი შრომითი აღმავლობა და ნაღვაწისათვის სიამაყე!**

ახლა, საბოლოო სიტყვაში, მინდა მოვიხსენიო მესამე კომპონენტიც:

— **დიდი სამერმისო გეგმები!**

ამ **დიდი სამერმისო გეგმებით** არის გასხივოსნებული მთელი ჩვენი დღევანდელი პლენუმი. ამ სამერმისო გეგმებით გამსჭვალულა დღეს საბჭოთა საქართველოს ყოველი კომუნისტი, ყოველი მშრომელი, ყოველი პატიოსანი მოქალაქე!

მაშ მოდით, ამხანაგებო, მთელი ჩვენი ცხოვრებით ჩვენი შრომით მოვაახლოვოთ ეს მომავალი!

ამას მოგვიწოდებს დიდი ლენინის პარტია!

ამას შთაგვაგონებს ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

ამის მაგალითს გვაძლევენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი და მისი მებრძოლი თანამოსაგრენი პოლიტბიუროში.

მაშ მოდით, მივხდიოთ ამ შესანიშნავ ლენინურ მაგალითს ყველგან და ყველაფერში! ყველა ჩვენს საქმეში, ყველა ჩვენს ნააზრევში, ყველა ჩვენს დიდებულ მიზანდასახულობაში!

და კიდევ ერთი რამ. ჩვენი პლენუმი იმითაც არის შესანიშნდობლივი, რომ ეს პირველი პლენუმია, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ახალ შენობაში, ამ მშვენიერ ნათელ, ვრცელ, ლამაზ დარბაზში შეიკრიბა, და თავად ეს დარბაზი კიდევ ერთი გამოვლინებაა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მზრუნველობისა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელმა ასეთი უბადლო, ასეთი შესანიშნავი საჩუქარი მიიღო თავისი იუბილეს წინ.

დაე, ეს **ახალი,** დიდებული დარბაზი, სადაც დღეს პირველად შევიკრიბენით, სიმბოლურად გამოხატავდეს **ახალი ეტაპის** დადგომას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, ყოველი ჩვენი კომუნისტის ცხოვრებაში, იმ ეტაპის დადგომას, რომელსაც ახალი მიჯნების, ახალი მწვერვალების, ახალი გამარჯვებების საკენ მიპყავს ჩვენი ხალხი, ჩვენი **მზიური რესპუბლიკა,** როგორც ლეონიდ ილიას ძემ უწოდა!

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

(დასასრული)

— წარმართონ თავიანთი საქმიანობა მასების შრომითი აქტიურობის შემდგომ ასამაღლებლად, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების მიერ ყველა საგეგმო დავალების, სოციალისტურ ვალდებულებათა განუხრელად შესასრულებლად, წარმოების ზრდის ტემპის გასადიდებლად და შრომის ნაყოფიერებისა და გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად; ხელი შეუწყონ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, განაზოგადონ და გაავრცელონ სასარგებლო სახალხო ინიციატივა, დეპუტატთა თაოსნობა;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველზე სასურსათო პროგრამის განხორციელებას; სოფლის მშრომელთა მთელი ძალები წარმართონ კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგებთან საბრძოლველად: ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირად დამხმარე მეურნეობებთან კოოპერირებას, მხარი დაუჭირონ სამრეწველო საწარმოების დამხმარე მეურნეობათა, კოლექტიური შრომისა და მებოსტნეობის განვითარებას;

— მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და რესურსები სახალხო მოხმარების საჭირნლის წარმოების გასაადიდებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, საცხოვრებელი ბინებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმების შესასრულებლად, ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში საწარმოების, მეურნეობებისა და ორგანიზაციების საშუალებათა კოოპერირება;

— მიაღწიონ სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა და საშუალებათა ათვისებას, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემას, ტრანსპორტის, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესებას, ქალაქად და სოფლად მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმების დანერგვას და მისი კულტურის დონის ამაღლებას;

— უზრუნველყონ ქალაქების, დაბებისა და სოფლების კომპლექსური განაშენიანება და კეთილმოწყობა, იზრუნონ მათი არქიტექტურული იერის გაუმჯობესებისათვის, გარემოს დაცვისათვის მკაცრად გაკონტროლონ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ ბუნების დამცველი კანონმდებლობის შესრულება;

— დღენიადაგ იზრუნონ დიდი სამამულო ომის ინვალიდების, მონაწილეებისა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის; მიიღონ ზომები ქალთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციის, დედისა და ბავშვის დაცვის გასაუმჯობესებლად;

— სრულყონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საქმიანობა, გაამხვილონ მათი ყურადღება სამედიცინო მომსახურებისა და დაავადებათა პროფილაქტიკის ხარისხის გაუმჯობესებაზე; სრულყონ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა; აამაღლონ სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების მუშაობის დონე. მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის, მათი პროფორიენტაციისა და სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში;

— გააუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა, განსაკუთრებით სოფლად, უფრო სრულად გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი მოსახლეობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის ჩასატარებლად, ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთებთან, მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთან საბრძოლველად;

— გააქტიურონ მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, გააძლიერონ ბრძოლა სამართალდარღვევათა, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ, სრულყონ არასრულწლოვანთა დანაშაულისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა აცილებისა და პროფილაქტიკის ფორმები და მეთოდები; უფრო ეფექტიანად წარმართონ სამართალდამცველი ორგანოების მუშაობა, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა მართლწესრიგის დაცვის მდგომარეობისათვის; უფრო აქტიურად ჩაებან დეპუტატები, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები, ამხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმიელები, საზოგადოებრიობა სამართალდარღვევებსა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში;

— აღმოფხვრან ნაკლოვანებები, ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლენები მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა პირადი მიღების საქმეში, სისტემატურად შეატყობინონ მშრომელებს მათი სიგნალებისა და წინადადებების გამო მიღებული ზომების შესახებ; თანამიმდევრულად და განუხრელად განახორციელონ „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა წერილებსა და წინადადებებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნები;

— მუდმივად სრულყონ ორგანიზაციორული მუშაობის სტილი და მეთოდები, განუხრელად დაიცვან სოციალისტური დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპები, ხელი შეუწყონ ყველა დონის საბჭოების მუშაობაში პარტიულობის, კონკრეტულობისა და გეგმიანობის დამკვიდრებას, აამაღლონ სესიების ჩატარების დონე, ხელი შეუწყონ მათზე აქტუალური საკითხების საქმიან განხილვას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, ოპერატიულად გამოხმაურონ დეპუტატთა წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს; აამაღლონ მუდმივი კომისიების როლი საბჭოების წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრაში, გააძლიერონ კონტროლი ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების დადგენილებების და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებისადმი;

— ყოველნაირად შეუწყონ ხელი დეპუტატთა საქმიანობის გააქტიურებას საბჭოების სესიებზე, მუდმივ კომისიებში, საარჩევნო ოლქებში, დეპუტატთა კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებას მოსახლეობასთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან; მუდმივი ყურადღება დაუთმონ და ქმედითი დახმარება გაუწიონ დეპუტატთა სკოლების, საბჭოთა მუშაობის კაბინეტების, დეპუტატთა ოთახების მუშაობას, „დეპუტატის ერთიანი დღის“. ჩატარებას, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ხალხის რჩეული იყოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის აქტიური გამტარებელი, თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს საბჭოური ცხოვრების წესის ნორმების დამკვიდრებას, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში;

— მუდმივად გააუმჯობესონ საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელი კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა, სრულყონ საბჭოთა მუშაკების სწავლების, იურიდიული ცოდნის ამაღლების სისტემა; აღზარდონ ისინი სიტყვისა და საქმის ერთიანობის, პრინციპულობის, გულახდილობის, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის, ადამიანთა საზრუნავისა და საჭიროებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა გააუმჯობესონ დაქვემდებარებული დარგებისადმი, საწარმოებისადმი, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, წარმართონ რა მათი საქმიანობა XI ხუთწლედის დავალებათა უთუოდ შესასრულებლად, ეკონომიკური განვითარებაში რესპუბლიკის საშუალო-საკავშირო დონისაგან ჩამორჩენის დასაძლევად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად უმცირესი მატერიალური და საფინანსო დანახარჯებით; მუდმივად მისცენ გეზი შრომის კოლექტივებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭიქნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის მკაცრად დასაცავად; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ადგილობრივ საბჭოებს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში.

3. საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭომ უფრო აქტიურად უხელმძღვანელოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობას, უზრუნველყოს საჭირო ურთიერთქმედება მათსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო ორგანოებს შორის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო რესპუბლიკური, დარგთაშორისი და რეგიონალური პროგრამების შესასრულებლად; განახორციელოს უფრო ქმედითი კონტროლი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობისადმი, განამტკიცოს საბჭოების მატერიალური ბაზა; გააძლიეროს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების პასუხისმგებლობა მათი კომპეტენციის საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის დაცვისათვის; მიაღწიონ მართვის შემდგომ სრულყოფას, სიზუსტეს, შეთანხმებულობასა და მაღალ კულტურას სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობაში.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეფექტიან საქმიანობას, გააძლიერონ კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებათა, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, XI ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად სამინისტროების, სახელმწიფოთა კომიტეტების, უწყებებისა და სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობისადმი; უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი მათ კანონების განხორციელებაში.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიყენოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის მიღწევებისათვის მიცემული მაღალი შეფასების, მისი კრიტიკული შენიშვნების, მითითებებისა და რჩევა-დარიგებების მამობლიზებელი ზემოქმედება და მუდმივად სრულყოს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა, აამაღლოს მათი როლი, ინიციატივა და პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, შეისწავლოს, ფართოდ გაავრცელოს საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის დადებითი გამოცდილება; განახორციელოს უფრო მკაცრი კონტროლი მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი.

6. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გაშუქონ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობა, სოციალისტური დემოკრატიის ქმედითობა, მშრომელთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოების საქმეთა მართვაში; აქტიური პროპაგანდა გაუწიონ ხალხის რჩეულთა მუშაობას. ყოველმხრივ გააშუქონ საბჭოთა მუშაობის დადებითი გამოცდილება, ხელი შეუწყონ მის გავრცელებასა და დანერგვას.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, თითოეული დეპუტატი, რესპუბლიკის საბჭოთა აქტივი და მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 19 ივნისი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

(დასასრული)

— წარმართონ თავიანთი საქმიანობა მასების შრომითი აქტიურობის შემდგომ ასამაღლებლად, რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების მ

კამათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომისიის თავმჯდომარის დეკუტატ ნ. ა. ოდიშვილის მოხსენების გამო ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონების პროექტების შესახებ.

დეპუტატ შ. ი. ჭალაგანიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტების განხილვა ერთხელ კიდევ ადასტურებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს ზრუნვას გარემოს დაცვისა და გაუმჯობესებისათვის, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემისათვის, რომელსაც ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლანდელ და მომავალ თაობათა ინტერესებისათვის ხორციელდება საქმიო ღონისძიებები ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენებისათვის. გადარჩენილი და აღდგენილია ცხოველთა ბევრი, თითქმის გამქრალი სახეობა, ხორციელდება ღონისძიებები თევზის მარაგის დასაცავად, ფაუნის კვლავწარმოების გაუმჯობესებისათვის. ნადირ-ფრინველის მომრავლების მიზნით აიკრძალა ნადირობა ადგილობრივად მობინადარე ყველა გარეულ, სასარგებლო სანადირო-სარეწაო ცხოველებზე. საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება ბიოტექნიკურ ღონისძიებებზე, შესამჩნევი გახდა ზოგიერთი სახეობის ცხოველთა რიცხობრივობის მატების ტემფიდენცია, შედარებით სტაბილურია გარეულ ცხოველთა რაოდენობა, შესამჩნევად გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ცხოველთა დაცვის საქმე ჩვენთან კვლავ დაბალ დონეზე დგას.

ნადირ-ფრინველის მომრავლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პირობას მაინც მათი დაცვა წარმოადგენს. სულ გასული ხუთი წლის განმავლობაში გამოვლინდა ნადირობის წესების დარღვევის 7.286 შემთხვევა, ამასთან დაკავშირებით ნადირობის წესების დარღვევებისა და ბრაკონიერობისათვის კონფისკებული იყო 25.024 თოფი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შექმნილიყო სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო, რომელმაც მიზანსწრაფული პოლიტიკა უნდა გაატაროს ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ ბოლო დროს ჩვენ ბევრი პრაქტიკული ღონისძიება განხორციელეთ იშვიათი ცხოველებისა და მცენარეების აღდგენა-შენარჩუნებისათვის, გაიზარდა ნაკრძალებისა და აღკვეთილების რიცხვი, ფართოდ ინერგება მავნებლებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი.

კანონის პროექტი ითვალისწინებს ცხოველთა სამყაროს სახელმწიფო კადასტრის შემუშავებას და გაძღოლას. ცხოველთა რაოდენობის, მათი გეოგრაფიული გავრცელების, მათთვის საჭირო სავარგულების დახასიათების და სამეურნეო გამოყენების მონაცემების ზუსტი ცოდნის გარეშე შეუძლებელია გონივრულად წარვმართოთ ცხოველთა სამყაროს განვითარება. ეს კი შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მყარ მეცნიერულ საფუძველზე. ამაში კი ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ. საქართველოს სსრ კანონთა მიღებას დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა ადამიანების ნაყოფიერი შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, მატერიალური წარმოებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. **(ტაში).**

დეპუტატ გ. ვ. კობახიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საკითხი, რომელსაც დღეს იხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, მეტადროდ არის დაკავშირებული ზესტაფონის რაიონთან, მისი თითოეული მეშრომელის აწმყოსთან და მომავალთან.

ყველასათვის ცნობილია, რომ ზესტაფონის რაიონი დღეს იმათ რიცხვს განეკუთვნება, სადაც ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების პრობლემა გასცდა მის მასშტაბს.

უკანასკნელ პერიოდამდე ატმოსფეროს დაბინძურების ყველაზე მთავარ კერას წარმოადგენდა ფეროშენადნობთა ქარხანა. ერთი წლის წინ, ზუსტად 1980 წლის 21 ივნისს შეწყდა პირველი საამქროდან კვამლისა და მავნე აირების ამოფრქვევა. და მე მინდა ვნობიდე ის უდიდესი სიხარულის დაბადების წლისთავზე თითოეული ზესტაფონელის სახელით მადლობა ვუთხრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის ბიუროს, პირადად ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს ამ სუფთა ცისათვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ამას სათავე დაუდო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებამ, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ქარხნისა და რაიონის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაზე. ქარხნის პირველ საამქროში გაზსაწმენდი მოწყობილობის დამონტაჟებით მოისპო ერთ-ერთი უდიდესი დამტვერიანების კერა, გარკვეული მუშაობა ჩატარდა ქარხნიდან გამდინარე წყლების გასუფთავებისათვის. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ქარხნის ტექნიკური განახლება, რაც სხვა საკითხებთან ერთად, წყლისა და ატმოსფეროს აუზების გაჭუჭყიანების მინიმუმამდე შემცირებას ითვალისწინებს. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ მთელი რიგი სამუშაოები საგრძნობლად ჭიანურდება. არაორგანიზებულად მიმდინარეობს № 4 საამქროს გაზსაწმენდი ნაგებობებისა და ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობა. ეს ობიექტები საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მიმდინარე წელსა და 1982 წლის პირველ ნახევარში, რითაც მთლიანად აღმოიფხვრება ქარხანაში ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება.

როგორც მეტალურგმა, მინდა დავაყენო რამდენიმე საკითხი: ჭიათურაში მდიდარი მადნების წარმოების შემცირების გამო საჭირო გახდა პროდუქციის ხარისხის შენარჩუნებით ღარიბი მადნების ფართოდ გამოყენება, რაც მოითხოვს ქარხნის სიმძლავრის გადაანგარიშებას, ამ საქმეში მეცნიერების უფრო ფართო ჩაბმას; ქარხანაში უნდა დაინერგოს ტყიბულის არაკოქსადი, წინასწარ გამომწვარი, მაღალნაცრიანი ქვანახშირის გამოყენება სილიკომანგანუმის წარმოებაში, რაც შეცვლის ძვირადღირებულ კოქსს.

გარდა ამისა, რაიონში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მძლავრ კერად არის გადაქცეული ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უნდა დაიჭიროს ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. **(ტაში).**

დეპუტატ მ. მ. ხანანაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ამ ბოლო ხანებში ბევრი რამ გაკეთდა თბილისის კიდევ უფრო გასამშვენირებლად. ვინც თბილისელია ან იცნობს მის ყოველ კუნჭულს, განიცდის მის ტკივილსა და სიხარულს, ის კარგად გრძნობს, თუ როგორ გალამაზდა ჩვენი ქალაქი. მაგრამ იმის დროც დადგა, რომ თბილისის ატმოსფეროს დაუბრუნდეს მისთვის ჩვეული სიწმინდე და სისუფთავე. ლამაზ ქალაქში ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა იცხოვროს.

დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ მეორე კანონი ცხოველთა დაცვასა და მათ გამოყენებაზე. სამწუხაროდ, მრავალი სახეობის ცხოველთა გადაშენების საფრთხის წინაშე აღმოვჩენდით. ცხოველთა სამყარო დაცვის და სწორი გამოყენების საკითხი დღეს მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანად უნდა გადაიქცეს იმიტომაც, რომ ამ მიმართულებით შესაძლებლობა გვეძლევა ავამჟმედოთ სასურსათო პროგრამის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი რეზერვი.

ცხოველთა სამყაროს დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ნაკრძალებს და აღკვეთილებს. სპეციალისტების აზრით, მომავალში მიზანშეწონილია ახალი ნაკრძალების შექმნა და არსებულთა ფართობის გაზრდა, კიდევ უფრო მკაცრი კონტროლი მათი ფლორისა და ფაუნის დაცვისა და სწორი გამოყენებისადმი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დადებითი როლი, რომელსაც ამჟამად ასრულებს სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი პრომატების, ანუ მაიმუნების გამრავლების საკითხში, იმ ცხოველებისა, რომელთა რიცხვიც ასე სწრაფად იკლებს მთელ მსოფლიოში და რომელთა გადაშენებაც უკვე რეალურ საფრთხედ იქცა. ჩვენი რესპუბლიკის 20-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწყობს ექსპერიმენტებს ცხოველებზე, მაგრამ ძალიან ცოტას აქვს ვივარიუნი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საჭიროდ მიმაჩნია, რომ თბილისს ახლოს რესპუბლიკური მნიშვნელობის სანაშენე შეიქმნას, სადაც მოაშენებდნენ საქართველოს მეცნიერებისათვის საჭირო ცხოველებს და სადაც ცხოველების დაცვის ორგანიზაცია მეცნიერულად იქნება წარმართული.

ვფიქრობთ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბიოლოგიური ცოდნის პროპაგანდას მოსახლეობის ფართო ფენებში, უწინარესად სათანადო ლიტერატურის გამოცემით, რადიოს და ტელევიზიის გადაცემებში. საჭიროა ყველა ასაკის ადამიანს ჩავუნერგოთ ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობა და მისი დაცვის მოვალეობა. **(ტაში).**

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის

თ. ი. თურმანიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ გარემოს დაცვის საკითხებს. გარემოს მიმართ ზრუნვის ახალი დადასტურებაა კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა — ეს არა მარტო უკვე არსებული გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაა. ჩვენ არ უნდა დავუშვათ მისი წარმოქმნელი მიზეზები საწარმოთა დაპროექტების სტადიაში, იმ სამრეწველო ობიექტების განლაგებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისას, რომლებიც პოტენციურ გამაჭუჭყიანებლებს წარმოადგენენ.

ქ. ნეკროპეტროვსკში ყოფნის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა — იყო დრო, როცა ვცდილობდით რაც შეიძლება სწრაფად აგვმოქმედებინა ქარხანა, მიგვეცა პროდუქცია რადაც უნდა დაგვჯდომოდა. დღეს კი უნდა ვაშენოთ ისე, რომ დავიცვათ ბუნება ხელყოფისაგან. ასევე საჭიროა განვაახლოთ ძველი საწარმოები ისე, რომ ისინი აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას გარემოსათვის.

ამხანაგებო! საქართველოს სსრ კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კიდევ უფრო მეტად ზრდის იმ სამინისტროებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობას, რომელთა საწარმოები აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს ჰაერს, აგრეთვე იმ უწყებებისა, რომლებიც პასუხს აგებენ გარემოს მდგომარეობისა და მისი რეგულირებისადმი კონტროლისათვის.

კანონის პროექტის თანახმად, ბუნების დაცვა რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის ვალია. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის საპაერო აუზის და მთელი გარემოს დაცვაში.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი დაგვეხმარება ახლებურად, მკაცრი მომთხოვნელობის პოზიციებიდან მივუდგეთ გარემოს დაცვას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის აყვავებას.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს მთავრობას, დღევანდელ სესიას, რომ საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს კოლექტივი ყველაფერს იღონებს ჩვენს რესპუბლიკაში ატმოსფერული ჰაერის დასაცავად და გასაუმჯობესებლად. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

22 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. განიხილეს და მოიწონეს წინადადებანი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

განიხილეს საკითხი საზოგადოებრიობის მიერ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვის შედეგების შესახებ. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა კავშირის საბჭოს საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის თავმჯდომარემ ბ. ვ. კონობლიოვმა.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის მდივნის ვ. ვ. ზაგლადინის ინფორმაცია სსრ კავშირში უცხოელი მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის პროექტზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მ. პ. გიორგაძის ინფორმაციის გამი განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად იმ ბრძანებულებათა შეტანის საკითხი, რომლებიც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ბინებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის უზრუნველსაყოფად მოლდავეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი.

სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საკდესი).

რას ვანიჭებთ უმაღლეს მარკას?

1-ლი ივნისიდან 1-ლ ივლისამდე რესპუბლიკაში მიმდინარეობს სამრეწველო საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების დანერგვის ერთთვიური-დათვალიერება. დათვალიერების მიმდინარეობისა და მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კორესპონდენტს საქართველოს სსრ სახალხო დამცველის თავმჯდომარემ ნ. გიორგობინაძემ უთხრა:

ერთთვიური-დათვალიერება ეწყობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. მისი მიზანია ყველა საწარმოს კოლექტივი დარაზმოს იმისათვის, რომ უზრუნველყონ უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

მიმდინარე წელს მიღებულია მეთოდიკური მითითებები სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მისანიჭებლად პროდუქციის ატესტაციის წესის შესახებ. ატესტაცია გახდა სამეურნეო მართვის მნიშვნელოვანი ელემენტი, იგი საშუალებას იძლევა დიდი სიზუსტით განისაზღვროს ნაწარმის ტექნიკური დონე და სამომხმარებლო ღირებულება.

ტექნოლოგიური დონისა და სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გადიდების მძლავრი ბერკეტია პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში არის საწარმოები, სადაც დიდი ხანია დანერგეს სისტემა, ხოლო მიღებული შედეგები უმნიშვნელოა. არის მაგალითები, როცა საწარმოში დაინერგა სისტემა, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორიც ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილია, მცირდება. ასეთი მოვლენა შეიძლება შევნიშნოთ საწარმოო გაერთიანება „საქღვინომანქანაში“, „საქფერადმეორეულლითონის“ სამმართველოში, რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში და სხვაგან.

დათვალიერება-კონკურსმა უნდა გამოავლინოს რესპუბლიკის საუკეთესო საწარმოები, სადაც შედეგიანად ნერგავენ ამ სისტემას და ითვალისწინებენ უშუალო შემსრულებლების დიდ პასუხისმგებლობას ნაწარმის ხარისხისათვის, მასობრივ თვითკონტროლს, ყველა ქვეგანაყოფის ხელმძღვანელის მხრივ ოპერატიულ კონტროლს, დამამზადებელთა, მომხმარებელთა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ურთიერთკავშირის გაძმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით საწარმოებში უკვე საკმარისი აღარ არის იბრძოლონ ჩინებული ხარისხის ბრიგადის წოდებისთვის, საჭიროა ფართოდ გაიშალოს მოძრაობა დევიზით: „საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოვუშვათ ყოველ ბრიგადაში, უბანზე, საამქროში, საწარმოში“.

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

დედამიწის ზურგზე (საბჭოთა ფოტო)

ფაქტები მოვლენები

22 ივნისი

თავდასხმა დაგმეს

უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია

ნიუ-იორკი. ისრაელის თავთმფრინავების ამასწინანდელი **ყაჩაღური თავდასხმა ერაყის ატომური კვლევის ცენტრზე გადაჭრით დაგმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე.** ერთხმად მოწონებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო „გადაჭრით გმობს ისრაელის საჰაერო იერიშს, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა წესდებისა და საერთაშორისო კეთილი ნორმების აშკარა დარღვევაა“. საბჭოს მიაჩნია, რომ ერაყმა უნდა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია ისრაელის მიერ მიყენებული ზარალისათვის. რეზოლუცია მოუწოდებს აგრეთვე ისრაელს თავისი ბირთვული ნაგებობანი საინსპექციოდ გადასცეს ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს.

სახიფათო ნაგიჯი

აპარიტიკეებენ თეთრი სახლის გადაწყვეტილებას

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა აშკარა გულისწყრომითა და შეშფოთებით შეხვდა ვაშინგტონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას ჩინეთი ჰეგემონისტებისათვის თანამედროვე იარაღის მიწოდების ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმების შესახებ. როგორც აქ სამართლიანად აღნიშნავენ, ამგვარი ნაბიჯი ფაქტობრივად მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრას და მსოფლიო სხვადასხვა რაიონში დაძაბულობის გაძლიერებას. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ თეთრი სახლის ეს გადაწყვეტილება არსებითად რეგანის ადმინისტრაციის ანტიჩინურ კურსის შემადგენელი ნაწილია, და ხაზგასმით აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი პოლიტიკის მეტად ცინიკურ ხასიათს. ადმინისტრაცია, წერს გაზეთი სარედაქციო სტატიაში, ცდილობს სხვა ქვეყნებთან მეგობრობას იარაღის მიწოდების გზით მიაღწიოს.

ვაშინგტონის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ჩინეთისათვის თანამედროვე იარაღის მოწოდების შეზღუდვის შესახებ გააკრიტიკეს აგრეთვე გაზეთებმა „ნიუსდეიმ“, „უოლ-სტრიტ ჯორნელმა“, „დეილი უორლდმა“.

საძრახის როლში

აღვირახსნილი მილიტარიზმი ტელეეკრანზე

ვაშინგტონი. **გამალებული შეიარაღების მქადაგებლის საძრახის როლში გამოდის ამ დღეებში ამერიკის სი-ბი-ესის ტელეკომპანია, რომელიც განაგრძობს ჩვენებას წამქეზებლური მრავალსერიანი ფილმისა „შეერთებული შტატების თავდაცვა“.**

სერიის მორიგი ფილმის ავტორებმა, რომლის სათაურია „შეიარაღდეთ“, ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა მაყურებელი დაერწმუნებინათ, თითქოს ამერიკის შეიარაღებული ძალები სუსტია „ძლიერი მტრის“ წინაშე, რომ მას „უნარი არ შეუწევს დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები საზღვარგარეთ“.

გულდასმით შერჩეული „სამხედრო ექსპერტები“, გადამდგარი გენერლები და პოლიტიკოები ტელეეკრანიდან ერთხმად იმეორებენ, რომ საჭიროა სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელება ახალი ტანკებით, თვითმფრინავებით, რაკეტებით, ხომალდებით ამერიკის არსენალის შევსებისათვის. ამასთან ისინი არ მალავენ, რომ პენტაგონი ითვალისწინებს დასავლეთ ევროპაში შეიარაღებული კონფრონტაციის შესაძლებლობას და „ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის წინა ხაზად“ მიაჩნია იგი.

ეძებენ პრეზიდენტს

თეირანი. ირანის ისლამურმა რევოლუციურმა პროკურატურამ გამოაცხადა პრეზიდენტ ბანისადრის ძებნა და წყურიგის დამცველ ყველა ორგანოსა და მოქალაქეებს დაავალა დაეკავონ იგი „სადაც უნდა იყოს“. ეს განცხადება გაკეთეს მას შემდეგ, რაც ირანის პარლამენტმა შაბათს ბანისადრი „პოლიტიკურად არაკომპეტენტურად“ ცნო. ირანის ოფიციალურმა ხელისუფლებამ უარყო უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობა, თითქოს პრეზიდენტი ქვეყნიდან გაქცეულიყოს. ამავე დროს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმომადგენელმაც ოფიციალურად უარყო ცნობა, თითქოს ბანისადრს ირან-თურქეთის საზღვარი გადაელახოს და ახლა თურქეთში იმყოფებოდეს.

თეირანი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა აიათოლა ხომეინიმ დაამტკიცა ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილება ირანის პრეზიდენტის მოვალეობისაგან ა. ბანისადრის გადაყენების თაობაზე.

ჩილელ აღვოკატთა მოთხოვნა

ბუენოს-აირესი. **ჩილელ აღვოკატთა ჯგუფმა პინოჩეტის რეჟიმს მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაითხოვოს საიდუმლო პოლიცია — ეროვნული საინფორმაციო ცენტრი.** სანტიაგოში გავრცელებულ აღვოკატთა განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეროვნული საინფორმაციო ცენტრი არაფრით არ გამოირჩევა თავისი წინამორბედისაგან — დინასაგან, რომელიც ცნობილია პოლიტიკურ მოღალატეთა მიმართ სისასტიკით, სიცხლის სამართლის დანაშაულით, ფინანსური მაქინაციებით, ნარკოტიკებით მოვაჭრეებთან ურთიერთობით. ფაქტიურად საიდუმლო პოლიციია გადაიქცა მფიცად, რომელსაც კონტროლს არ უწევენ ხელისუფალნი.

აღვოკატთა გამოსვლის საბაბი გახდა ჩილეში ატეხილი სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ამხილეს სპეცსამსახურის აგენტთა მონაწილეობა ბანკის გაძარცვასა და მისი ორი მოსამსახურის მკვლელობაში.

შეიძულება ჩაიფუშა

ჰავანა. **გრენადის უშიშროების ძალებმა გამოაშკარავეს კონტრრევოლუციური შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა კარიბის ზღვის ამ კუნძულოვანი ქვეყნის პროგრესული მთავრობის დამხობას. დაპატიმრებულია 26 კაცი.** ეს პირები, ნათქვამია ეროვნული უშიშროების სამმართველოს ცნობაში, დაკავშირებული იყვნენ ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● **ტელ-ავივი** სულ უფრო განამტკიცებს თავის შეიარაღებულ ყოფნას მის მიერ მიტაცებულ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე. სამხრეთიდან მიღებული ცნობებით, უკანასკნელ დღეებში ისრაელის ჯარების ქვეგანაყოფები შეუდგნენ ახალი პოზიციების შექმნას მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც ისრაელის საზღვრის-პირა ზონაში მდებარეობენ. აწყობენ საბრძოლო პოზიციებს დასახლებული პუნქტის ბლათის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

● **კამბუჩიის** სახალხო რესპუბლიკის ეროვნული კრების პირველი სესია გაიხსნება პნომპენში მიმდინარე წლის 24 ივნისს. სესიაზე მიიღებენ კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციას, განსაზღვრავენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, შექმნიან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

● **იაპონიის** ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის წამყვანი კომპანიის „ოძი ხეისის“ მფლობელებმა გადაწყვიტეს გაუშვან 3400 მუშა ხანგრძლივ „შვებულებაში“ ხელფასის შეუნარჩუნებლად. ასეთი ღონისძიება, აღნიშნავს გაზეთი „ნიპონ კეიძაი“, გამოწვეულია იაპონიის მრეწველობის ამ დარგში უკანასკნელი დროის ყველაზე დიდი დაქვეითებით.

ფოტოობიექტივი ამხილებს

„მიდუეი“, გაეცალე იაპონიას!

იოკოსუკის მცხოვრებლები და ტოკიოდან, იოკოჰამიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული დემოკრატიული ძალების წარმომადგენლები მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციით შეხვდნენ იოკოსუკის ნავსადგურში ამერიკული ავიამზიდის „მიდუეის“ შესვლას. ისინი კატარღებითა და ნავებით გავიდნენ ზღვაში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზის წინ (ქვემო სურათზე). „მიდუეი“, გაეცალე იაპონიას!“, „არ დავუშვათ ბირთვული იარაღი იაპონიაში!“ — გაიძახოდნენ საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილენი იაპონიაში დაუპატიჟებელი ვიზიტიორის „სტუმრობის“ გამო (ზემო სურათზე).

იუპი-საკდესის ფოტო.

კრესა ალდასტურებს

ამერიკის საჯაშუშო ბაზები ჩინეთში

ვაშინგტონი. **როგორც აღნიშნეულად პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის მთავრობის წრეებმა დაადასტურეს, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე თითქმის ერთი წელია სრულიად საიდუმლო პირობებში მოქმედებს ამერიკის რადიოელექტრონული დაზვერვის ორი საჯაშუშო ბაზა.** საიდუმლო შეთანხმებას ასეთი ბაზების შექმნის თაობაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირზე ინფორმაციას აგროვებენ, მიაღწიეს ჩინელ ლიდერებთან საიდუმლო მოლაპარაკების დროს, რომელიც 1980 წლის იანვარში პეკინში ყოფნის დროს გამართა ამერიკის მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ბრაუნმა.

ამ უკანასკნელ მხილებათა ფონზე მეტად უცნაურად ჟღერს ჩინეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის მტკიცება, რომელმაც უცნობელ კორესპონდენტთა თხოვნაზე, განემარტა ცნობა ჩინეთის ტერიტორიაზე რადიოელექტრონული დაზვერვის ბაზების არსებობის შესახებ, განაცხადა: „ამის თაობაზე არაფერი გვსმენიაო“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ „ბოლო მომენტში ამერიკის მაღალი თანამდებობის ოფიციალურმა პირებმა ყველაფერი იღონეს, რათა არ დაეშვათ ჩინეთში ამერიკული საჯაშუშო ბაზების შესახებ ცნობების გამოქვეყნება, მაგრამ ცნობა მაინც გაიპარა პრესაში და დიდი რეაქცია გამოიწვია როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მთელ მსოფლიოში.

„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის გარემოცვა, — აღნიშნავს ტელეკომპანია ეი-ბი-ის კორესპონდენტი, — უკმაყოფილოა ჩინეთში ამერიკის სადაზვერვო საგუშაგოების შესახებ ცნობების გამოქვეყნებით, რადგან ადაც თვლის, რომ ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ვაშინგტონ-პეკინის ურთიერთობას“.

პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკის საჯაშუშო ბაზებს, რომელთაგან, ერთი დასავლეთ, ხოლო მეორე აღმოსავლეთ ჩინეთში მდებარეობს, ემსახურებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალურად მომზადებული ჩინელები.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ამ ბაზებიდან მიღებული ჯაშუშური ინფორმაციით ერთობლივად სარგებლობენ შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სადაზვერვო სამსახურები. პერიოდულად სანსპექციო მისიით იქ ჩადიან ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მრჩეველები და ინსტრუქტორები.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, ამერიკის ოფიციალურ პირებს ამ საჯაშუშო სადგურების საქმიანობა „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ოპერაციად“ მიაჩნიათ.

გაზეთის მიერ მიღებული მონაცემებით, ჩინეთის ტერიტორიაზე საჯაშუშო საგუშაგოების შექმნის იდეა პირველად იშვა 1978 წელს, ჯერ კიდევ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე. ამ საკითხზე ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკება განახლდა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირანის რევოლუციის შედეგად ირანში დაკარგა ორი ანალოგიური საგუშაგო. 1979 წლის აპრილში კი, იუწყება ეი-ბი-სის ტელეკომპანია,

გმირნო, მამულის მადიდნო

მუხრანში გაიხსნა „ხსოვნის ტაძარი“

თბილისი-გორის გზატკეცილიდან მე-400 მეტრზე, სოფელ მუხრანისაკენ მიმავალ გზაზე შაბათს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდების მონუმენტი — „ხსოვნის ტაძარი“, რომელიც ეძღვნება დიდ სამამულო ომში დაღუპული მუხრანელი, ციხისძირელი, პატარქანდელი და ძველქანდელი ოთხასი შინმოუსვლელი ჯაბუკის ხსოვნას.

13 მეტრი სიმაღლის დიდების მონუმენტის ავტორები არიან არქიტექტორები: საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვ. დავითაია და შ. ბოსტანაშვილი, თანაავტორები — მხატვრები ე. ბურჭულაძე და რ. კოზლოვსკი.

მონუმენტის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბარისაშვილმა. მიტინგზე გამოვიდნენ ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ი. ედიშერაშვილი, შრომის ვეტერანი, შინმოუსვლელის დედა თ. ფარჩუკიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ე. ამაშუკელი, მუხრანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. ბეგოიძე, მცირემოწელი შ. თათარაშვილი, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე, მუხრანის საშუალო სკოლის მოსწავლეები. დასასრულ გაიმართა კონცერტი. („კომუნისტის“ კორ.).

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი დაიდგა ქართლის მიწაზე. ავტორებს მშვენიერი ადგილი შეურჩევიათ მემორიალისათვის — თბილისი-გორის ტრასაზე მდებარე პატარა ბორცვი. სივრცობრივად ძეგლი ძირითადი მაგისტრალისა და სოფლებისაკენ მიმავალი გზების ხედვის „ეპიცენტრშია“. მისი სილუეტი, მასშტაბი, პლასტიკა კარგად ეგუება გარემო სივრცეს და მისი აქტიური მხატვრული დომინანტია.

ბევრი ძეგლი აიგო ქართველ გმირთა სადიდებლად და, უნდა ითქვას, რომ მუხრანში აგებული დიდების მონუმენტი — „ხსოვნის ტაძარი“ სრულიად განსხვავებულია და ორიგინალური, თავისებურია იგი არა მარტო პლასტიკური გადაწყვეტით, არამედ თემისადმი სრულიად ახალი მხატვრული დამოკიდებულებით, ფილოსოფიური გააზრებით, ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციების გათვალისწინებით, და ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი პოზიციით. ბაზილიკის ტიპის ძეგლი, ნაცნობი ასოციაცია მაყურებელს საოცრად ახლო ნათესაურ გრძნობას უღვიძებს და წინასწარი მოკრძალებისა და თაყვანისცემის სურვილით განაწყობს მის აღსაქმელად.

როგორც აღვნიშნეთ, მშვენიერია ძეგლის მასშტაბი, ფერი, რაც დიდად უწყობს ხელს ყველა მისი რაკურსით — ახლო თუ შორეული წერტილებიდან ოპტიმალურ აღქმას. ინტერიერში აღმართული ორნამენტირებული „სიცოცხლის სვეტი“ ნიშში შედგმული სანთელივით ანთია მზის შუქზე და იგი არა მარტო აზრობრივი და იდეური აქცენტია მონუმენტისა, არამედ მხატვრულიც. იგი ავსებს, ერთი შეხედვით, მონოტონურ სიბრტყეს — ძეგლის ჩრდილოეთ კედელზე და აქტიურ მხატვრულ მოცულობად იკითხება. ინტერიერის თაღობრივი დანაწევრებით აქ მოხვედრილი ადამიანის მზერა შუქ-ჩრდილით ივსება. მხილველს თაყვანისცემის განცდა „ეუფლება, რაც ესოდენ დაიმსახურეს იმ ადამიანებმა, რომელთა გვარებიც ცოცხალ სიმბოლოებად არის ამოტვიფრული თეთრ ეკლარზე.

უნდა აღინიშნოს ავტორთა მაღალპროფესიული დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა ეს იგრძნობა ძეგლის ყველა დეტალში, მის სივრცობრივ-მხატვრულ დამუშავებაში, და თუ მაინც რაიმე დაგვრჩება ხინჯად შესრულების ხარისხთან დაკავშირებით, ეს მხოლოდ იმ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილების პოზიციიდან, როცა ადამიანს სურვილი უჩნდება ოსტატობის დონე დაახარისხი გაუტოლდეს შემოქმედის ფანტაზიას.

ძეგლის აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია რელიეფი „ცხენჯოხზე“ ამხედრებული ბიჭუნას სახით. ეს ბევრის მომცველი, მრავალსმეტყველი სიმბოლოა. ამ ოთხი პატარა სოფლის მკვიდრთა მამაცობამაც განაპირობა მშვიდობიანი ზეცა, რომლის ქვეშ მათ შთამომავლობას სიცოცხლისა და შემოქმედების ხალისი დაუფლებია.

მშვენივრად გამოხატავს ზემოთ თქმულს დიდი წინაპრის გრიგოლ ორბელიანის სტიტყვები, რომლებიც ძეგლის ძირითად ფასადზეა ამოკვეთილი:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება“.

ელგუჯა ამაშუკელი.



სურათებზე: ზემოთ — ტაძრის ფრაგმენტი, ქვემოთ — „ხსოვნის ტაძრის“ საერთო ხედი.

გახსენება

„სალამი, ძვირფასო მამა! გისურვებ კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას. მომიკითხე მთელი ოჯახის შვილდგენლობა. ყველას ვერ ჩამოვთვლი, რადგან ამ გამეცეცებული ფაშისტების გამო არც დრო მაქვს და არც ხალისი. დღეს უკვე მეცამეტე დღეა, რაც საშინელ ბრძოლებში ვარ ჩაბმული, ბრესტიდან მოგიწოვს ეუახლოვდებით. ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. მაგრი ბრძოლა გადავიტანე, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს, აწი კი არ ვიცი რა იქნება. ცოლ-შვილს ამბავს ვერ გაცნობებთ. იმ დღეს, როცა საომრად წავედით, ის ქალაქი მტრის ავიაციამ საშინლად დაანგრია და ოცდაოთხი ივნისიდან უკვე გერმანელებს აქვთ დაკავებული. ცოლ-შვილი ან სახლის კედლებში მოჰყვებოდა ანდა შიშით დაიხოცებოდა. ასე მგონია, და თუ ასე არ არის, ხომ კარგი, მაგრამ მეეჭვება, ვაითუ დავიღუპე... სხვა რა მოგწეროთ, იქნებ მათი ამბავი გიგოთ, გთხოვთ მაცნობოთ. მიმა, 1941 წ. 4. VII“.

— მამაჩემი ამ წერილს რომ წერდა, მაშინ ჩვენ. ჯერ კიდევ გზაში ვიყავით, — მეუბნება ალბერტ ქართველიშვილი და მამის საკუთრა ბარათებს მაგიდაზე მიწყობს. — ძნელია იმ საშინელი ამბების გახსენება, ჩვენ რომ ომის დაწყების დღეს დაგვატყდა თავს.

...1941 წლის მარტში კაპიტანი მიხეილ ქართველიშვილი სამხედრო სამსახურში ბრესტ-ლიტოვსკიდან მინსკის ოლქის ქალაქ სლუცკში გადაიყვანეს. მაშინ იგი ქვეითი ჯარის მესამე ბატალიონის უფროსი იყო, ლეგიონის ქუთაისელი პოლკოვნიკი ჩაგანაძე მეთაურობდა. მიხეილის მეუღლე ლუბა საცხოვრებელი ადგილის ხშირ გამოცვლას შეჩვეული იყო. მარტო ბიჭები ადარდებდა. ამ სამი წლის განმავლობაში ალბერტმა და კოტემ უკვე მეხუთე სკოლა გამოიცვალეს. მარლენი კი ჯერ პატარა იყო, სკოლაში არ დადიოდა.

საზაფხულო არდადეგებიც მოახლოვდა. მიხეილმა ბიჭებს პიონერთა ბანაკის საგზურები უშოვა და 21 ივნისს ბავშვები უკვე უნდა წაეყვანათ, მაგრამ იმ დღეს მანქანა გაუფუჭდათ და წასვლა ორშაბათისათვის გადადეს.

გათენდა კვირა დღე, 22 ივნისი. მიხეილი ადრიანად ადგა. მეუღლეს დაუბარა: მე ნაწილში ვიცვალ, ბიჭებს მივხედავ, შენ საუზმე გაამზადე, ბავშვებს ჩააცვი და ქალაქგარეთ გავისეირნოთო. წავიდა თუ არა, ლუბამ მაგიდაზე დადებული პორტსიგარი შეამჩნია და ალბერტს დაავალა: გაიქეცი, მამას მიუტანე და მალე დაბრუნდიო. ბიჭიც სიხარულით გაიქცა, მაგრამ ბანაკში საოცარი სურათი ნახა. ყველანი აქეთ-იქით დარბოდნენ, მანქანაში რაღაცეებს ეზიდებოდნენ. მეთაურები ერთ ადგილას შეკრებილიყვნენ და სახეზე შეშფოთება ატყობდათ. ალბერტმა მამას პორტსიგარი გადასცა, მან კი უთხრა: ახლავე სახლში წადი, დედაშენს უთხარი, საგანგაშო შემთხვევისათვის ყველა საჭირო ნივთი მომიმზადე-თქო.

ალბერტი შინ სირბილით გაიქცა და დედას მამის დანაბარები გადასცა, საწყალი ქალი ელდისაგან იქვე ჩაიკეცა, — ვაიმე, ნამდვილად ომი დაიწყო. მალე მიხეილიც მოვიდა. მას საუზმისთვის პირი არ დაუკარებია, ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო. ამ დროს რადიომ ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის უეცარი თავდასხმის ამბავი გამოაცხადა... მტერმა დაბომბა მთელი რიგი ქალაქები და წინ მოიწევსო... ოთახში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, მიხეილმა მეუღლე გაამხნევა, გულს ოდ ეფარა. ჯერ მინსკისაკენ გაემართნენ, მაგრამ იქიდან მომავალმა ლტოლვილებმა უთხრეს, მინსკი იწვის, სად მიდიხართო. ბოლოს ოსიპოვიჩის გზას დაადგნენ. იქამდე კი დიდი მანძილი იყო გასავლელი, მანქანა ტყის განაპირას მიდიოდა. მტრის თვითმფრინავები ლტოლვილებს გზაში მისდევდნენ. ერთი ავიაგამანადგურებელი სულ დაბლა დაეშვა, და ხალხს ტყვიამფრქვევი დაუშინა. მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა, თვითმფრინავი სულ დაბლა დაეშვა, მანქანამ ტყისკენ გაუხვია, მაგრამ თხრილში ჩავარდა, საბურავები გაუსკდა და კინაღამ გადაბრუნდა. თვითმფრინავი ახლა სხვა მანქანას დადევნა. ლუბამ სასწრაფოდ მიწაზე გადმოსვა ბავშვები და ტყისკენ გაიქცა, სხვებმაც ტყეს შეაფარეს თავი. აქ ცოტა შეისვენეს, მძღოლმა მანქანას საბურავი გამოუცვალა და გზა ისევ გაგრძელეს.

საღამოს 9 საათი იყო, ოსიპოვიჩში რომ ჩავიდნენ. იქ, სადგურში ბევრი იწვალეს, როგორც იქნა ეშელონი შედგა და ლტოლვილნი სატვირთო ვაგონებით სამშვიდობოსაკენ გაემგზავრნენ. მატარებელი მთელ ღამეს არ გაჩერებულა. დღისით ეშელონს ავიაგამანადგურებელი მიაცილებდა. გზაში მგზავრებს არც პური ჰქონდათ, არც წყალი. ერთგან მდინარის ნაპირას შემადგენლობა გაჩერდა, ორთქლმავლისათვის წყალი უნდა აეღო. ლუბამ დრო იხელთა, იმავე წამს ვაგონიდან გარეთ გადმოხტა, მყარუნა დაკრიფა, მდინარის წყალში ამოავლო და ვაგონში მყოფ ბავშვებს აჭამა. მალე მატარებელმა ისევ გზა განაგრძო.

ლტოლვილნი გომელში ჩავიდნენ. იქ საშინელი ამბავი ტრიალებდა. ეს დიდი ბედნიერება იყო.

ასე ჩამოაღწიეს ლტოლვილებმა ტამბოვში. აქ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს დიდი დახმარება აღმოუჩინა, უფასოდ დაურიგეს პური, შემწვარი ქათმები, კონსერვები, კამფეტები და სხვა. ეშელონი ასე გაისტუმრეს, ისევე გულთბილად შეხვდნენ ლტოლვილებს სარატოვში, ეკერნოვსკაში, ასტრახანში, ბაქოში, აქედან კი ქართველიშვილები „ბაქო-ბათუმის“ მატარებლით მიხეილის მშობლიურ სამტრედიაში ჩავიდნენ.

კოსტანტინე ქართველიშვილის ოჯახში მათს ჩამოსვლას არავინ ელოდა, რადგან ფრონტიდან მიხეილის წერილი უკვე მიეღოთ, სადაც იგი ცოლ-შვილს დაკარგვის ამბავს იწერებოდა.

— დიახ, ასე დავბრუნდით სამშობლოში, — განაგრძო საუბარი ალბერტმა. — ამისაგან კიდევ რამდენიმე წერილი მივიღეთ. მას ამხანაგისგან გიეგო სლუცკიდან ჩვენი გამომგზავრების ამბავი, მეტი კი ჩვენი არაფერი იცოდა. მისი უკანასკნელი ბარათი 1941 წლის 31 ივლისით არის დათარიღებული. გავიდა რამდენიმე ხანი და მიხეილის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცხობა მივიღეთ. მას შემდეგ ვეძებთ მამის თანამებრძოლებს, იქნებ ვინმე გადარჩა და რაიმე გვაცნობოს მიხეილ ქართველიშვილის შესახებ. მას 1927 წელს დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეითი ჯარის სამხედრო სასწავლებელი. იყო დიდი პატრიოტი. ერთ-ერთ დოკუმენტში მას ბელორუსიის განთავისუფლებისათვის დაღუპულ მამაცთა შორის ასახელებენ.

კაპიტან მიხეილ ქართველიშვილის ვაჟებმა მუყაითი შრომით ცხოვრებაში კარგი გზა გაიკვალეს. ალბერტ ქართველიშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია, კოსტანტინე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მარლენ ქართველიშვილი მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობია. შვილები მოუთმენლად ელიან მამის თანამებრძოლების გამოხმაურებას.

ლ. ხუბულური.

პირველი ეშელონი

ქეცი, მამას მიუტანე და მალე დაბრუნდიო. ბიჭიც სიხარულით გაიქცა, მაგრამ ბანაკში საოცარი სურათი ნახა. ყველანი აქეთ-იქით დარბოდნენ, მანქანაში რაღაცეებს ეზიდებოდნენ. მეთაურები ერთ ადგილას შეკრებილიყვნენ და სახეზე შეშფოთება ატყობდათ. ალბერტმა მამას პორტსიგარი გადასცა, მან კი უთხრა: ახლავე სახლში წადი, დედაშენს უთხარი, საგანგაშო შემთხვევისათვის ყველა საჭირო ნივთი მომიმზადე-თქო.

ალბერტი შინ სირბილით გაიქცა და დედას მამის დანაბარები გადასცა, საწყალი ქალი ელდისაგან იქვე ჩაიკეცა, — ვაიმე, ნამდვილად ომი დაიწყო. მალე მიხეილიც მოვიდა. მას საუზმისთვის პირი არ დაუკარებია, ტანსაცმლის გამოცვლა დაიწყო. ამ დროს რადიომ ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის უეცარი თავდასხმის ამბავი გამოაცხადა... მტერმა დაბომბა მთელი რიგი ქალაქები და წინ მოიწევსო... ოთახში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, მიხეილმა მეუღლე გაამხნევა, გულს ოდ ეფარა. ჯერ მინსკისაკენ გაემართნენ, მაგრამ იქიდან მომავალმა ლტოლვილებმა უთხრეს, მინსკი იწვის, სად მიდიხართო. ბოლოს ოსიპოვიჩის გზას დაადგნენ. იქამდე კი დიდი მანძილი იყო გასავლელი, მანქანა ტყის განაპირას მიდიოდა. მტრის თვითმფრინავები ლტოლვილებს გზაში მისდევდნენ. ერთი ავიაგამანადგურებელი სულ დაბლა დაეშვა, მანქანამ ტყისკენ გაუხვია, მაგრამ თხრილში ჩავარდა, საბურავები გაუსკდა და კინაღამ გადაბრუნდა. თვითმფრინავი ახლა სხვა მანქანას დადევნა. ლუბამ სასწრაფოდ მიწაზე გადმოსვა ბავშვები და ტყისკენ გაიქცა, სხვებმაც ტყეს შეაფარეს თავი. აქ ცოტა შეისვენეს, მძღოლმა მანქანას საბურავი გამოუცვალა და გზა ისევ გაგრძელეს.

საღამოს 9 საათი იყო, ოსიპოვიჩში რომ ჩავიდნენ. იქ, სადგურში ბევრი იწვალეს, როგორც იქნა ეშელონი შედგა და ლტოლვილნი სატვირთო ვაგონებით სამშვიდობოსაკენ გაემგზავრნენ. მატარებელი მთელ ღამეს არ გაჩერებულა. დღისით ეშელონს ავიაგამანადგურებელი მიაცილებდა. გზაში მგზავრებს არც პური ჰქონდათ, არც წყალი. ერთგან მდინარის ნაპირას შემადგენლობა გაჩერდა, ორთქლმავლისათვის წყალი უნდა აეღო. ლუბამ დრო იხელთა, იმავე წამს ვაგონიდან გარეთ გადმოხტა, მყარუნა დაკრიფა, მდინარის წყალში ამოავლო და ვაგონში მყოფ ბავშვებს აჭამა. მალე მატარებელმა ისევ გზა განაგრძო.

ლტოლვილნი გომელში ჩავიდნენ. იქ საშინელი ამბავი ტრიალებდა. ეს დიდი ბედნიერება იყო.

ასე ჩამოაღწიეს ლტოლვილებმა ტამბოვში. აქ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს დიდი დახმარება აღმოუჩინა, უფასოდ დაურიგეს პური, შემწვარი ქათმები, კონსერვები, კამფეტები და სხვა. ეშელონი ასე გაისტუმრეს, ისევე გულთბილად შეხვდნენ ლტოლვილებს სარატოვში, ეკერნოვსკაში, ასტრახანში, ბაქოში, აქედან კი ქართველიშვილები „ბაქო-ბათუმის“ მატარებლით მიხეილის მშობლიურ სამტრედიაში ჩავიდნენ.

კოსტანტინე ქართველიშვილის ოჯახში მათს ჩამოსვლას არავინ ელოდა, რადგან ფრონტიდან მიხეილის წერილი უკვე მიეღოთ, სადაც იგი ცოლ-შვილს დაკარგვის ამბავს იწერებოდა.

— დიახ, ასე დავბრუნდით სამშობლოში, — განაგრძო საუბარი ალბერტმა. — ამისაგან კიდევ რამდენიმე წერილი მივიღეთ. მას ამხანაგისგან გიეგო სლუცკიდან ჩვენი გამომგზავრების ამბავი, მეტი კი ჩვენი არაფერი იცოდა. მისი უკანასკნელი ბარათი 1941 წლის 31 ივლისით არის დათარიღებული. გავიდა რამდენიმე ხანი და მიხეილის უგზოუკვლოდ დაკარგვის ცხობა მივიღეთ. მას შემდეგ ვეძებთ მამის თანამებრძოლებს, იქნებ ვინმე გადარჩა და რაიმე გვაცნობოს მიხეილ ქართველიშვილის შესახებ. მას 1927 წელს დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეითი ჯარის სამხედრო სასწავლებელი. იყო დიდი პატრიოტი. ერთ-ერთ დოკუმენტში მას ბელორუსიის განთავისუფლებისათვის დაღუპულ მამაცთა შორის ასახელებენ.

კაპიტან მიხეილ ქართველიშვილის ვაჟებმა მუყაითი შრომით ცხოვრებაში კარგი გზა გაიკვალეს. ალბერტ ქართველიშვილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია, კოსტანტინე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მარლენ ქართველიშვილი მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობია. შვილები მოუთმენლად ელიან მამის თანამებრძოლების გამოხმაურებას.

ლ. ხუბულური.

კაი ყმანი

„კომუნისტი“ — პატარა ვლადიმერ ჩხარტიშვილს

შაორის ტბაზე გადასაფრენად ემზადებოდა „საქშავზღვათევზმშენის“ აკლიმატიზაციის სადგურის უფროსი ომარ ჩხარტიშვილი. ვერტმფრინავით წალკიდან პელიადის ჯიშის ლიფსიტები უნდა გადაეყვანა.

ომარს კაბინეტში მივუსწარი. მაგიდაზე რაღაც ქაღალდები ეწყო, თავი ჩაექინდრა და გიორგი ყურაშვილის წითელყდიანი წიგნის „ძმათა სისხლით“ სურათებს გულისყურით დასცქეროდა.

— რა დროს წიგნის კითხვაა, ომარ! ვერტმფრინავი გველოდება, — ომარს თავი არ აუწევია, სურათებს თითი გააყოლა.

— მამაჩემია. გაზეთ „კომუნისტში“ მუშაობდა. ომი დაიწყო თუ არა ფრონტზე წავიდა. ესენი კი, ჩემი ბიძები არიან — ისაკი, კირილე და ქრისტეფორე. აი, ეს საბრალო ბიჭი, მამაჩემის დისწულია. დედა რომ მოჰკვდომია, ჩვენს ოჯახში გაზრდილა, ვალიკო დარჩაია. არც ერთი აღარ დაბრუნებულა.

ომარს ნაღვლიან თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

სევდა მომერია, აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ხელში გაცრეცილი, სიძველისაგან გაყვითლებული პატარა ბარათი ეჭირა. დავყურებდი ბიჭების ნათელ, ცოცხალ სახეებს და მომეჩვენა, თითქოს ისინიც აქ ისხდნენ, ჩვენ გვერდით.

...„ნინა, გისურვებ ცხოვრებაში ჯანმრთელობას, მოყინული მაქვს მარჯვენა ფეხის თითები... მალე გამოვჯანმრთელდები და ფრონტზე წავალ. ბიჭები რომელ ფრონტზე არიან. იქნებ მომწერო რამე. გავიგე ჩემი ვაჟკაცისათვის ომარი დაგირქმევიათ. ნეტა თუ მგავს?!“ — სწერდა იგი მეუღლეს.

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა ვლადიმერ ჩხარტიშვილმა ეს წერილები გამოგზავნა. ვეღარ იხილა გვარის გამგრძელებელი. თავის ძმებთან ერთად გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

რთაბში პატარა ბიჭმა შემოირბინა.

— ვისია ომარ?

— ჩემი. ეს პატარა ლადიკოა, ვლადიმერი, მამაჩემის სეხნია...

გ. ხეჩუაშვილი.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1981 წლისათვის მიღებას დღის დასწრებული სწავლების შემდეგ სპეციალობებსა და სპეციალიზაციებზე:

აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა; მცენარეთა დაცვა; მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია; აგროსაინჟინრო; აგროსაინჟინრო მელიორაცია; აგროსაინჟინრო საკვებწარმოება; აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობა; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); მეცხოველეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; ჰიდრომელიორაცია; მიწათმოწყობა; მეღვინეობის ტექნოლოგია; დაკონსერვების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალობებისა და სპეციალიზაციის მიხედვით შემდეგ საგნებში:

ა) აგროსაინჟინრო, აგროსაინჟინრო მელიორაცია, აგროსაინჟინრო საკვებწარმოება, აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობა:
1. ფიზიკა (წერა)*
2. ბიოლოგია (ზეპირი)
3. ქიმია (ზეპირი)

ბ) აგროქიმია და ნიადაგთმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, ხილბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია:
1. ბიოლოგია (ზეპირი)*
2. ფიზიკა (წერა)
3. ქიმია (ზეპირი)

გ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში:
1. მათემატიკა (წერა)*
2. ბიოლოგია (ზეპირი)
3. გეოგრაფია (ზეპირი)

დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, ჰიდრომელიორაცია, მიწათმოწყობა:
1. მათემატიკა (წერა)*
2. მათემატიკა (ზეპირი).
3. ფიზიკა (ზეპირი)

ე) მეღვინეობის ტექნოლოგია, დაკონსერვების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო:
1. მათემატიკა (წერა)*
2. ფიზიკა (ზეპირი)
3. ქიმია (ზეპირი)

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ წერითს გამოცდას ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში, თხზულების სახით.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებული, აგრეთვე საშუალო სპეციალური ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულების წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს მხოლოდ იმ ერთ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვერსაკვლევით, აღნიშნულ საგანში შეფასება „ხუთის“ მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან დანარჩენ საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო შეფასება „ოთხის“ ან „სამის“ მიღების შემთხვევაში აბარებენ გამოცდას მოცემული სპეციალობისათვის დაწესებულ ყველა დანარჩენ საგანში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მიწათმოწყობის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, ჰიდრომელიორაციის, (ქართული სექტორები), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (რუსული სექტორი) სპეციალობებზე, მედალოსნებისა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტების ჩარიცხვის შემდეგ, პირველ ორ სადამოცდო საგანში არანაკლებ 9 ქულის დაგროვებით, ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით — მიღებული აქვთ შეფასება მხოლოდ ფრიადი და „კარგი“ ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა დამრგვალების გარეშე არ არის 4,5-ზე ნაკლები.

ოქროს (ვერცხლის) მედლით „შუალო სკოლადამთავრებულნი, აგრეთვე საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების წარჩინების დიპლომით კურსდამთავრებულნი, რომლებიც შეღიან მიწათმოწყობის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, ჰიდრომელიორაციის, (ქართული სექტორები), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (რუსული სექტორი) სპეციალობებზე, თუ პირველ საგამოცდო საგანში მიიღებენ შეფასებას „კარგს“, ხოლო მეორე გამოცდაზე — შეფასება „ფრიადს“, თავისუფლდებიან დანარჩენი გამოცდების ჩაბარებისაგან.

მისაღები გამოცდები მოეწყობა პროგრამის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1981 წლისათვის.

საკონკურსო შერჩევა ინსტიტუტში მემსვლელთათვის იწყება ჩაბარებული გამოცდების შესახებ ცნობების მიღებისთანავე.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ ამ საგნებს:

ა) აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა; მცენარეთა დაცვა; მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია; აგროსაინჟინრო; აგროსაინჟინრო მელიორაცია; აგროსაინჟინრო საკვებწარმოება; აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობა; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); მეცხოველეობის მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია; ჰიდრომელიორაცია; მიწათმოწყობა; მეღვინეობის ტექნოლოგია; დაკონსერვების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო.

1. ბიოლოგია (ზეპირი)*
2. ფიზიკა (წერა)
3. ქიმია (ზეპირი)

ბ) აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, ხილბოსტნეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგია:

1. ბიოლოგია (ზეპირი)*
2. ფიზიკა (წერა)
3. ქიმია (ზეპირი)

გ) სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში:

1. მათემატიკა (წერა)*
2. ბიოლოგია (ზეპირი)
3. გეოგრაფია (ზეპირი)

დ) სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მეცხოველეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, ჰიდრომელიორაცია, მიწათმოწყობა:

1. მათემატიკა (წერა)*
2. მათემატიკა (ზეპირი).
3. ფიზიკა (ზეპირი)

ე) მეღვინეობის ტექნოლოგია, დაკონსერვების ტექნოლოგია, სატყეო-სამეურნეო:

1. მათემატიკა (წერა)*
2. ფიზიკა (ზეპირი)
3. ქიმია (ზეპირი)

ინსტიტუტში ჩასვლა ეგზამენებზე — 24 ივნისი, 10 საათზე; **ინსტიტუტის** ფაკულტეტებზე — 25 ივნისი, 10 საათზე.

ინსტიტუტში ჩასვლა ეგზამენებზე — 25 ივნისი, 10 საათზე.

ინსტიტუტში ჩასვლა ეგზამენებზე — 25 ივნისი, 10 საათზე.

უკანონო გადაწყვეტილება

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის გენცხადება

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ განაცხადა პროტესტი იმის გამო, რომ ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. ოლაფსონმა ამა წლის 12 ივნისს გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ერთი თვით გადადო ჭადრაკში ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის დაწყება (მატჩის სტარტი დანიშნული იყო 1981 წლის 19 სექტემბერს). ფედერაციას მიაჩნია ეს გადაწყვეტილება ფიდე-ს 1979 წლის გენერალური ასამბლეის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის უხეშ დარღვევად.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონმა და პრეტენდენტმა რეგლამენტის 2-2 პუნქტის შესაბამისად დაადასტურეს თავიანთი თანხმობა ითამაშონ მატჩი დადგენილ ვადებში. ამავე დროს რეგლამენტის 2-34 პუნქტის მიხედვით თამაშზე გამოუცხადებლობის ყოველი მიზეზი, ახსნა-განმარტება თუ არგუმენტი, რომელთაც მონაწილე ან მისი ფედერაცია წამოაყენებს, არ განიხილება.

ფიდე-ს პრეზიდენტმა [illegible] სსრ კავშირის [illegible] ფედერაციის განცხადებაში, აშკარად გადააჭარბა თავის უფლებამატჩის ვადის გადატანის გადავეტილებას იგი განმარტავს [illegible] ლიტიკური მოტივებით შეკაზ[illegible]ლი არგუმენტებით, რომელ[illegible] არავითარი კავშირი არა აქვს [illegible] ჭადრაკთ შეჯიბრებასთან და [illegible] ხაომდეგება ფიდე-ს წესდ[illegible] 1-2 მუხლს. ამ მუხლში ნათ[illegible]მია, რომ ფიდე-ს საქმიანობა [illegible]ლოდ საჭადრაკო მოღვაწეო[illegible] ისაზღვრება. სხვათა შორის, [illegible] პირველი შემთხვევა არ არის, [illegible]ცას პრეზიდენტი ოლაფსონი [illegible]ვევს წესებს მატჩის მზადებ[illegible] პერიოდში.

ამ პირობებში სსრ კავშირის [illegible] ჭადრაკო ფედერაციას აუცილ[illegible]ბლად მიაჩნია ფიდე-ს აღმასკ[illegible]ლებელი კომიტეტის სხდომის [illegible] სწრაფო მოწვევა უკანონო გა[illegible] წყვეტილების გაუქმების მიზნ[illegible]

(საკადესი)

ევროპაში საუკეთესო

უნგრეთის ფეხბურთელ[illegible] ნაკრების წევრი და საკლუ[illegible] გუნდის „ფერენცვაროშის“ კა[illegible]ტანი ტიბორ ნილაში დაეფ[illegible] „ოქროს ბუცს“. ამ პრიზს იღ[illegible] ხოლმე ევროპის საუკეთესო [illegible] მბარდირი, რომელიც ეროვნ[illegible] ჩემპიონატში ყველაზე მეტ [illegible]რთს გიიტანს. ნილაშიმ უნგრეთ[illegible] ჩემპიონატის 34 მატჩში 30 [illegible]რთი გიიტანა. მეორე ადგილ[illegible] „ბაიერნის“ წევრი კარლ-ხა[illegible] რუმენიგე (გფრ) — 29 გო[illegible]მა. ეს [illegible] „ვერცხლის ბუცი“ გადაეც[illegible]მა.

გათამაშების ცხრილი

**დღეისათვის